Villages in Karchokhi valley

ნასოფლარები ქარჩოხის ხეობაში

David Akhlouri,
Doctor of History Associate Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia,
+995568990779, datoakhlouri@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-1068-4042

Abstract. In the work, there is a discussion about Karchokhi - abandoned village, which is located near the headwaters of Ksani. First of all, we focus on the X century Samtavneli Benefit Ledger which text is in Nuskhuri. It was discovered by famous scientist S.Kakabadze in the collection of the church documents. Kakabadze included it in his historical collection. In the source, several other villages of the Karchokhi valley are mentioned, which no longer exists today, although after the analyses of the sources and the literature it is possible to find the location.

For example, the village Anratsminduli mentioned in the list was called Andriatsmindauli , later called as Shatakiankari, based on the surname of the Shatakishvili found here. Today, the Shatakishvilis are not living in the Karchokhi valley, their migration took place in the villages of Gori municipality, mainly in the Ateni valley. Location of Shatakiantkari, earlier Andriatsminduli is to the east, over village Dochiani.

In the X century monument of Samtavneli benefit is mentioned the village of Karchukhi. Karchokhi is the name of the gorge nowadys, which the union of several villages which used to be the centre of Zemo Karchokhi. From the X century, the villages of Khozoeti and Golgoleti are also mentioned. Khozoeti was located on the eastern side of the watershed of Ksani and Churti, west of the village of Kenkaani, it was known as Kazoti in the X century, and it was called Khokhotadaa in the XV century book of trade. Before the Second World War, it was one of the most populous and noisy villages in the Karchokhi valley. It has been abandoned village since the 90s of the XX century. Golgoleti was also located in the neighbourhood of Kenkaan, to its southwest. As such, this past is almost unknown in the Ksani Valley, but according to the demographic descriptions, it is described differently that Golgoleti was uniting Bejuant village and the vast territory located in the southwest of it.

On the right side of Ksani, to the north of the village of Midelaani, there is the Kveriati remains, where a tower dating back to the IX-X centuries has been preserved. Tsiptauri, the descendants of Tsiklauri here, then settled in Kvemo Tsiptauri, which is also is not inhabited today.

The three old Georgian villages - Dzaboeti, Lomisa and Okhiri, where the Ossetian population originated from the XVIII century, have also been turned into abandoned village.

After the war in August 2008, the situation in Karchokhi valley became even worse, the most of the villages were abandoned.

Key words: Karchokhi valley, Samtavneli benefit, demographic lists, Satavado, traveller, occupation, abandoned village, castle-house, church-monasteries.

დავით ახლოური
ისტორიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძისქ., №53,1400, საქართველო,
+995568990779, datoakhlouri@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-1068-4042

აბსტრაქტი. ნაშრომში საუბარია ქარჩოხის ხეობის ნასოფლარებზე, რომელიც ქსნის სათავეებთან მდებარეობს. პირველ რიგში ყურადღებას ვამახვილებთ სამთავნელის სარგოს X საუკუნის დავთარზე, რომლის ნუსხური ტექსტი საეკლესიო საბუთების კოლექციაში უნახავს ცნობილ მეცნიერს ს. კაკაბაძეს და თავის საისტორიო კრებულში შეუტანია. წყაროში ქარჩოხის ხეობის რამდენიმე ისეთი სოფელია მოხსენიებული, რომელიც დღეს აღარ არსებობს, თუმცა სათანადო წყაროებისა და ლიტერატურის ანალიზის შედეგად ხდება მათი ლოკალიზება. მაგალითად, ნუსხაში მოხსენიებული სოფელი ანრაწმინდული ანდრიაწმინდული გახლდათ, რომელსაც, მოგვიანებით, აქ დამკვიდრებული შატაკიშვილების გვარიდან გამომდინარე შატაკიანთკარი ეწოდა. დღეს ქარჩოხის ხეობაში აღრც შატაკიშვილები ცხოვრობენ, მათი მიგრაცია გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ძირითადად კი, ატენის ხეობაში მოხდა. შატაკიანთკარის და უფრო ადრინდელი ანდრიაწმინდულის ნასოფლარი დღევანდელი დოჩიანის ზემოთ, აღმოსავლეთითაა.

სამთავნელის სარგოს X საუკუნის ძეგლში ნახსენებია სოფელი ქარჩუხი. ქარჩოხი დღს ხეობის სახელწოდებაა, რომელიც რამდენიმე სოფელს აერთიანებს, ადრე კი ზემო ქარჩოხის ცენტრი უნდა ყოფილიყო, ამავე სახელწოდების ციხე-დარბაზის მიდამოებში. X საუკუნიდან იხსენიება ასევე სოფლები ხოზოეთი და გოლგოლეთი. ხოზოეთი ქსნისა და ჭურთის წყალგამყოფის აღმოსავლეთ კალთაზე მდებარეობდა, სოფელ ქენქაანის დასავლეთით, X საუკუნეში ყაზოთის სახელით ყოფილა ცნობილი, XV საუკუნის დრამისა და შესავლის გარიგების წიგნში ხოხოთადაა სახელდებული. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე იგი ერთ-ერთი ყველაზე ხალხმრავალი და ხმაურიანი სოფელი იყო ქარჩოხის ხეობაში. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ნასოფლარია. გოლგოლეთიც ქენქაანის მეზობლად მდებარეობდა, მის სამხრეთ დასავლეთით. მართალია, ქსნის ხეობაში თითქმის აღარავისთვისაა ცნობილი ამ სოფლის წარსული, მაგრამ დემოგრაფიული აღწერების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გოლგოლეთი ბეჟუანთ ნასოფლარსა და მის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ვრცელ ტერიტორიას აერთიანებდა.

ქსნის მარჯვენა მხარეს, სოფელ მიდელაანის ჩრდილოეთით მდებარეობს ნასოფლარი კვერიათი, სადაც შემორჩენილია IX-X საუკუნეებით დათარიღებული ზურგიანი კოშკი. აქ მცხოვრები წიკლაურების შთამომავალი წიპტაურები, მოგვიანებით ქვემო წიპტაურებში ჩამოსახლდნენ, რომელიც ასევე ნასოფლარია დღეს.

ნასოფლარადაა ქცეული ასევე ის სამი ძველი ქართული სოფელი - ძაბოეთი, ლომისა და ოხირი, სადაც XVIII საუკუნიდან ოსური მოსახლეობა დამკვიდრდა.

ქარჩოხის ხეობაში კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა შეიქმნა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რომელმაც სოფლების დიდი ნაწილი გაავერანა და მოსახლეობის გარეშე დატოვა.

საკვანძო სიტყვები: ქარჩოხის ხეობა, სამთავნელის სარგო, დემოგრაფიული ნუსხები, სათავადო, მოგზაური, ოკუპაცია, ნასოფლარი, ციხე-დარბაზი, ეკლესია-მონასტრები.

შესავალი

ქარჩოხის ხეობა მდინარე ქსნის სათავეებთან მდებარეობს. ქსანი ყელის ტბიდან მოედინება, გაივლის მთიანეთს 4-5 კმ-ის მანძილზე და არხის ქედის გადაკვეთის შემდეგ ჩანჩქერების სერიით ეშვება ჟამურის ხეობაში **(https://ka.wikipedia.org › wiki › ქსანი).**

ცნობილი ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით: „მდინარე კსნისა ოძის ზეით, ბაზალეთისა და ალევის მთის დასავლით დის და გამოსდის ქნოღოს ჟმურის საშუალს კავკასს, ქარჩოხამდინ დის აღმოსავლეთად, ქარჩოხს ქუეით სამხრით გაივლის მუხრანს და მიერთვის მტკუარს.“ **(ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: 359).**

ზოგადად, ქსნის სათავე სამი ხეობისაგან შედგება: ქარჩოხ-ჟამურის, ცხრაზმისა და ჭურთის.

ქარჩოხის ხეობა სოფელ ელოიანიდან იწყება, ბოლო სოფელი ჭორჭოხია, ადმინისტრაციული ცენტრი - ბალაანი იყო, სადაც 2008 წლის აგვისტოს ომამდე მდებარეობდა საკრებულო, საჯარო სკოლა, ბიბლიოთეკა, ამბულატორია **(ახლოური, 2019: 51).**

XVIII საუკუნის ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობის (1783 წელი) მიხედვით, ქარჩოხის ხეობაში 12 სოფელი შედიოდა: ჭორჭოხი, ახალდაბა (ახლანდელი ბალაანი), შატაკიანთკარი (დოჩიანი), პავლიანთკარი, თინიკაანთკარი, ვაკე (კარელთკარი), კვერიათი (წიპტაურები), მიდელაანთკარი, ხოზოეთი, ქენქაანთკარი, გოლგოლეთი, კორინთა **(თაყაიშვილი, 1951: 9-13).** კორინთა ქარჩოხიდან საკმაოდაა დაშორებული, თუმცა ეს სოფელი იმ დროისთვის ქარჩოხის მოურავის აბრამ თინიკაშვილის სახელოს წარმოადგენდა, რაც იმით იყო განპირობებული, რომ იმ დროისთვის იქ, ძირითადად, სოფელ თინიკაანიდან გადასახლებული თინიკაშვილების რამდენიმე ოჯახი სახლობდა **(ახლოური, 2021 ბ : 285-286)...**

საბჭოთა ხელისუფლების დროს, ვიდრე ჟამურის ხეობაში ჯერ კიდევ ცხოვრობდა მოსახლეობა, ადმინისტრაციულად ქარჩოხს ექვემდებარებოდა სოფლები: ნავიხევი, ოხირი, ჩიგოანი, ელოიანი, თინიკაანი, წიპტაური, პავლიანი, კარელთკარი, ბალაანი, მიდელაანი, ქენქაანი, ხოზოეთი, ჭორჭოხი **(ბალაანი (ქე), 1997: 341).**

ჟამურის ხეობაში უკვე ათეული წლებია მხოლოდ ნასოფლარებია შემორჩენილი. სამწუხაროდ, სავალალო მდგომარეობაშია ქარჩოხის ხეობაც, სადაც სოფლების სიმრავლეს ნასოფლარების სიმრავლე ჭარბობს.

მეთოდები

საკითხის კვლევისას ვიყენებთ თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებაში აპრობირებულ მეთოდებს. ვახდენთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის შესახებ არსებული წყაროებისა თუ სხვა ისტორიული მასალის კრიტიკულ გააზრებას, რომლის დროსაც გამოყენებულია შინაარსობრივი ანალიზისა და დაკვირვება-შედარების მეთოდები. ანალიზის მეთოდი საშუალებას გვაძლევს წარმოვაჩინოთ ქარჩოხის ხეობაში საუკუნეების მანძილზე არსებული სოფლები, რომლებიც დღეს უკვე ნასოფლარებადაა ქცეული. დაკვირვება-შედარების მეთოდი გვეხმარება მოვახდინოთ წყაროებში მოხსენიებული სოფლების ლოკალიზება და განვსაზღვროთ იქ არსებული ისტორიული რეალობა... ნაშრომის შეჯამება ხდება კვლევის სისტემური ანალიზით.

შედეგები

მძიმე ისტორიული რეალობა შეიქმნა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ახალგორის მუნიციპალიტეტში, განსაკუთრებით კი მთიან რეგიონში. შეიძლება ითქვას, რომ ქარჩოხის ხეობის ისტორია დღეს უკვე იმ სოფლების წარსულია, რომლებიც დღეს ნასოფლარადაა ქცეული.

ახლობელი და მშობლიურია ჩემთვის ქარჩოხი. იქ გავიზარდე, იქ ვცხოვრობდი. კარგად ვიცოდი თითოეული სოფელი თავისი მოსახლეობით, ყოფა-ცხოვრებით. ფეხით მაქვს შემოვლილი ძველი ნასოფლარები. შესწავლილი მაქვს იქ არსებული საფლავის ქვების ეპიტაფიები, ხუროთმოძღვრული ძეგლები, რაც დიდ დახმარებას მიწევს შევავსო და დავაზუსტო ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ცნობები ქარჩოხის ხეობის სოფლების შესახებ. შედეგად, ნაშრომში, თავისი ისტორიით, წარმოჩენილია თითქმის ყველა ის სოფელი, რომელიც ოდესღაც არსებობდა ქსნის სათავეებთან და თავის როლს ასრულებდა საქართველოს ცხოვრებაში.

დისკუსია (მსჯელობა)

ქსნის ხეობის შესახებ არსებული ისტორიული წყაროებიდან ნათელი გხდება, რომ დროთა განმავლობაში აქ არსებული არაერთი სოფელი იქცა ნასოფლარად.

ი. გაგოშიძე ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV-III საუკუნეებზე საუბრისას მიგვანიშნებდა მოსახლეობის ქსნის ხეობიდან ბარში გადაადგილებაზე, როგორც იგი წერს: „ქსნის საერისთაო ადრეანტიკურ ხანაში უნდა ყოფილიყო ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ფორპოსტთაგანი შიდა ქართლში. ამ ხევის მჭიდრო კავშირურთიერთობას IV-III საუკუნეთა მიჯნაზე აღმოცენებული ქართლის სამეფოს ცენტრთან, კარგად გვიჩვენებს ტოპონიმიკური შეხვედრები ქსნის ხეობისა და მცხეთის მიდამოებს შორის (იგულისხმება ქსნის ხევის ბაგინი, არმაზი, საძეგური, ძეგლევი და მცხეთური ბაგინეთი, არმაზციხე, არმაზისხევი, ძეგვი - დ.ა.). ამ დამთხვევებში შესაძლებელია მოსახლეობის გარკვეული მასების გადაადგილებაც დავინახოთ ქსნის ხეობიდან ბარში. ყოველ შემთხვევაში, შეიმჩნევა ტენდენცია მთიდან ბარისკენ მოსახლეობის გადაადგილებისა“ **(გაგოშიძე, 1964: 85).** იქვე მკვლევარი უთითებს ყანჩაველებისა და კორინთელების ქსნიდან ბარში ჩამოსვლაზე და ოსების მიერ მთიულების მამულების დაკავებაზე, რაც XVIII საუკუნის თანმხლები პროცესი იყო. გარდა მოსახლეობის ბარისკენ სწრაფვისა, ქსნის ხეობაში, ისევე, როგორც ზოგადად საქართველოში, ნასოფლარების სიმრავლეს დამპყრობელთა ბარბაროსულმა ლაშქრობებმაც შეუწყო ხელი, რომლის შედეგადაც ჩნდებოდა არაერთი ნაქალაქარი, ნასოფლარი, ნავენახარი... დროთა განმავლობაში ზოგიერთი მათგანის აღდგენა ისევ ხერხდებოდა, ზოგი კი მხოლოდ ტოპონიმების სახით შემოგვრჩა ქართულ თუ უცხოურ წყაროებში.

სხვადასხვა დროს საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარება მკვეთრად ცვლიდა ქსნის ხეობის მოსახლეობის დინამიკას, ამის ნიმუშად შეგვიძლია მოვიყვანოთ 1470 წლით დათარიღებული შალვა ქვენიფნეველის ლარგვისის მონასტრისადმი შეწირული საღაპე გუჯარი, საიდან ჩანს, თუ როგორ მოუოხრებია მურვან ყრუს სოფლები: ივრეთი, ერედა, ქურთა და სხვა. VIII საუკუნის არაბი დამპყრობელის მიერ ივრეთი ისეთი იავარქმნილი ყოფილა, რომ ვიდრე შალვამ არ აღაშენა, იქ კაცი აღარ სახლებულიყო **(ახლოური, 2006: 120).** გუჯარში ვკითხულობთ: „აღვაშენენ სოფელნი: მეჯუდის ხევს სოფელი ახალ-უბანი ასეთსა ადგილსა, რომე ადამისითგან იქი კაცი არ სახლებულ-იყო,

შემოუკრიბენ მამულნი და უჩინე მზღვარი ყოვლისა კაცისაგან უსარჩლელი; აღვაშენე ზუარი და გაუჩინენ სავენახენი:

აღვაშენე სოფელი ივრეთი, რომელ (რ˜ლ) მურვანის ჟამსა უკანით კაცი არ სახლებულ-იყო. აგრევე ქსანზედა სოფელი ჰერედაი ოხერი აღვაშენე და ზუარი, ქურთაი და სხუაი, ვინცა ლარგვსა მონასტრისათვს შეწირული იყო ჩუენთა პაპ(ა)თა და ჩამომავალთაგან, ეგრეთვე უცვალებელად იყოს“ **(საქართველოს სიძველენი, 1910: 558. ქართული სამართლის ძეგლები, 1965: 140-141).**

ქსნის ერისთავს მონასტრისათვის შეწირულ სოფლებში სახელისუფლებო ტერიტორიის გარეთ შეძენილი გლეხები დაუსახლებია: „ჩუენისა მამულისათვს ერთი გლეხი არ დამიკლია, ყუელაი (ყ˜ლაი) კაცები სხუაგნით მომისხამს და ოხერნი სოფელნი ამით აღმიშენებიან“ **(საქართველოს სიძველენი, 1910: 558. სურგულაძე, 1963: 33).** ეს ყოველივე, თავის მხრივ მიგვანიშნებს ქსნის ხეობის მთელ რიგ სოფლებში დემოგრაფიული ვითარების ცვალებადობაზე.

როგორც ცნობილია, არაბებმა რამდენჯერმე ილაშქრეს ქსნის ხეობაში, მათ შორის 643-645 წლებში. მათი „გამანადგურებელი შემოსევის სვლა-გეზი ხერკზე, ქსოვრისზე, ბაზალეთსა და ქსნის ხეობაზე მიემართებოდა ლომისის უღელტეხილით დარიალისკენ“ **(პავლიაშვილი, 1976: 3).** 653 წლიდან ქსნის ხეობა სახალიფოს მოხარკე პროვინციად იქცა. მოსახლეობას დაეკისრა ფულადი საკომლო საადგილმამულო გადასახადი და სამხედრო ბეგარა, რაც ოთხი წლის მანძილზე გაგრძელებულა. არაბები „ძარცვავდნენ და ავიწროვებდნენ სოფლებს, ხეობის მკვიდრნი აუტანელ პირობებში იმყოფებოდნენ. როგორც სარწმუნო წყაროებიდან ჩანს, სახალიფოს მესვეურები ადგილზე იხმარდნენ და გაჰქონდათ კიდეც: ხორბალი, ქერ-დიკა, ნიგოზი, მატყლი, თაფლი, სანთელი, ერბო, ტყავ-ბეწვეული, გაჰყავდათ მსხვილფეხი, საუკეთესო ჯიშის ცხენები, ხარ-კამეჩი, ერეკებოდნენ ცხვრის ფარებს“ **(პავლიაშვილი, 1976: 3).** ცნობები მოგვეპოვება მურვან ყრუს ქსნის ხეობაში ლაშქრობის შესახებაც. არაბებს ქსნის ხეობაზე გავლით ხაზარნი დაუმარცხებია და იმიერკავკასიითაგან წამოყვანილი ერთი ტომი კახეთში დაუსახლებია. მურვანის ულმობელმა ურდოებმა დააქციეს ციხე-კოშკები და მიწასთან გაასწორეს სოფლები. გადარჩენილი მოსახლეობა მამაპაპისეული ადგილიდან იხიზნებოდა, რაც ხელს უწყობდა სოფლების ნაცვლად ნასოფლარების წარმოქმნას. „მურვანის შემოსევამ ისე გაანადგურა და იქმნა „განრყუნილ ქუეყანა ქართლისა, სომხითისა და რანისა”, რომ «არღარა იპოებოდა ნაშენები, არცა საჭამადი კაცთა და პირუტყვთა ყოვლადვე“ - შენიშნავს ჯუანშერის ცნობებზე დაყრდნობით ივანე ჯავახიშვილი **(ჯავახიშვილი, 1983: 76).** აკი მიგვითითებს კიდეც 1470 წლის სააღაპო გუჯარში შალვა ქვენიფნეველი მურვანის სისასტიკეზე...

ქსნის ხეობის წარსულის კვლევაში დიდ დახმარებას გვიწევს სამთავნელის სარგოს X საუკუნის დავთარი, რომლის ნუსხური ტექსტი საეკლესიო საბუთების კოლექციაში უნახავს ცნობილ მეცნიერს ს. კაკაბაძეს და თავის საისტორიო კრებულში შეუტანია **(კაკაბაძე, 1929).** წყაროში, ქსნისა და ლეხურას ხეობის ბევრი ისეთი სოფელია მოხსენიებული, რომელიც დღეს აღარ არსებობს, თუმცა შესაძლებელია მათი ლოკალიზება. სამთავისის ეკლესია ქსნის საერისთავოს საეპარქიო ცენტრი იყო, რომელსაც სამთავნელი განაგებდა და ეპარქიიდან თავისი შემოსავალი ჰქონდა.

ნუსხაში დასახელებულია ანრაწმინდული. ნ. ოთინაშვილის დასკვნით, იგი „შესაძლებელია იყოს ანდრიაწმინდული, რომლის ე.ი. ანდრია მოციქულის კულტის გაძლიერება ქართულში მეცხრე საუკუნიდან არის ნაგულისხმევი წყაროებით საქართველოს მთელ რიგ ადგილებში. ქართულ მწერლობაში ბერძნულიდან არის შემოტანილი ცნობა მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის, ქართლში ქრისტიანობის ქადაგების შესახებ. შესაძლებელია ხსენებული სოფელიც ყოფილიყო ქსნის ხეობაში. დღეს ამ სოფლის ლოკალიზაცია უცნობია“ **(ოთინაშვილი, 2013: 12).** ანდრიაწმინდულის სახელწოდებით სოფელი მართლაც იყო ქსნის ხეობაში, უშუალოდ მის ზემო წელზე, ქარჩოხის თემში.

მოგვიანებით, ამ სოფელს შატაკიანთკარად მოიხსენიებდნენ. როგორც ვ. ქენქაძე აღნიშნავს: „სოფელში, რომელსაც ძველად ანდრიაწმინდული ერქვა, ორი გვარის ხალხი ორ ცალკე უბნად ცხოვრობდა. ქვევითი უბანი შატაკნი იყვნენ და შატაკიშვილები ცხოვრობდნენ. ზევით კი წიკვლიანთ უბანი იყო და წიკლაურები ცხოვრობდნენ“ **(ქენქაძე, 2008: 107).** თავის მხრივ შატაკიშვილების გვარი წიკლაურიდან მოდის. მათი საგვარეულო წიგნის ავტორის ალ. ნაზღაიძის ცნობით: „შატაკიშვილების ბუდე - პირველსაცხოვრისი ქარჩოხის ნასოფლარი შატაკთკარია, ყველა შატაკიშვილი, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს, თავის წარმომავლობით ამ ნასოფლარს უკავშირდება... ზეპირი გადმოცემით შატაკიშვილების წინა გვარი წიკლაური ყოფილა. რახან შატა||შატაი კაცის სახელია, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ოდესღაც ვინმე შატა, იგივე შატაკა წიკლაური ქარჩოხის თემში დასახლებულა, მის შვილებს შატაკის შვილობა გაუგვარდათ, ხოლო მათი შთამომავლების დასახლებას შატაკთკარი დაერქვა" **(ნაზღაიძე, 2013: 5-6).**

ივ. ჯავახიშვილის მიერ XV საუკუნის პირველი ნახევრის დამლევითა და მეორე ნახევრის დამდეგით დათარიღებული სამთავნელის სამწყსოს დრამისა და შესავლის გარიგების წიგნში კვლავ ანრაწმინდული გვხვდება, რომელიც ქარჩოხის ხეობის სოფლების რიგშია ნაჩვენები: ანრაწმინდულს: პური ბ, დრამა გ. ქ{ა}ლმ{ა}ნი ა; რ{ა}ა ხუცესა ტყავი მხარი, ყვ{ე}ლი და აბრასიკი.“ **(ჯავახიშვილი, 1974: 10).** XVIII საუკუნის II ნახევრის სამთავისის საყდრის გამოსავლის დავთარში სოფლის სახელწოდებად შატაკიანთკარია მითითებული დომინანტი გვარიდან გამომდინარე - სოფელში 6 კომლი შატაკიშვილი ცხოვრობს და ერთი კომლი - პავლიაშვილი **(ქართული სამართლის ძეგლები, 1970: 1045. ჯავახიშვილი, 1974: 174).** შატაკიანთკარის და უფრო ადრე ანდრიაწმინდულის ნასოფლარი დღევანდელი დოჩიანის ზემოთ, აღმოსავლეთითაა. როგორც ჩანს, ადრე იქ მოსახლე ორივე გვარი (შატაკიშვილები და პავლიაშვილები) 20-ზე მეტი კომლისაგან შედგებოდა. პავლიაშვილების ნასახლარები შედარებით უკეთაა შემონახული, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ შატაკიანთკარში ისინი უფრო დიდხანს ცხოვრობდნენ. შატაკიშვილები ატენის ხეობაში გადასახლდნენ, პავლიაშვილები ყვარლის მუნიციპალიტეტის ახალსოფელში **(ახლოური, 2021 გ).**

ქარჩოხი დღეს ეწოდება ხეობას ლარგვისის ჩრდილოეთით, სოფელ ჭორჭოხიდან ელოიანის ჩათვლით. სამთავნელის სარგოს X საუკუნის ნუსხაში, ისევე როგორც XV საუკუნის დრამისა და შესავლის გარიგების წიგნში ერთი კონკრეტული სოფელია ქარჩუხის სახელით **(კაკაბაძე, 1929: 10. ჯავახიშვილი, 1974: 10).** ნასოფლარის ლოკალიზებისთვის ყურადღება უნდა მივაქციოთ ხეობაში მდებარე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლს - ქარჩოხის ციხეს. ვახუშტი წერს: „არს ციხე ქარჩოხისა კსნის პირსა ზედა. უდის სამხვრით კსანი და აღმოსავლით ხევი, ლომისის მთის გამომდინარე" **(ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: 355).**

ს. მაკალათია უფრო კონკრეტულად გვითითებს ციხის მდებარეობას, „ქარჩოხის ციხე-დარბაზი ქსნის მარცხენა მხარეზეა, იქ, სადაც ქსანს ერთვის ოხირის ხევი... ძნელი მისადგომია: იგი მაღალ კლდოვან ბორცვზეა აგებული; შორიდან კარგად მოჩანს. ქარჩოხის ხეობა აქ გაშლილია და ციხე-დარბაზიც ლამაზ სანახაობას წარმოადგენს" **(მაკალათია, 1968: 108-109).**

პ. ზაქარაიას მინიშნებით, ქარჩოხის ციხეს თავისი სიდიდით და მრავალფეროვნებით, ამ ხეობის ფორტიფიკაციულ ნაგებობებს შორის გამორჩეული ადგილი უკავია. მოსახლეობა მას კიდევ ერთი სახელწოდებით იცნობდა - „ციხეკლდე". თავდაპირველად აქ აუგიათ ზურგიანი კოშკი, რომლისთვისაც, მოგვიანებით, სამხრეთით მცირე გალავანი მიუშენებიათ, შემდეგ კი ციხის აღმოსავლეთითა და სამხრეთით კიდევ უფრო დიდი გალავანი იქნა აგებული. „კოშკის ირგვლივ, მეორე გალავნის აგებით, გაჩნდა ციხე, რომელსაც ესაჭიროებოდა საკუთარი ეკლესია. იგი ჩაშენებული იქნა კოშკსა და გალავანს შორის, შემდეგ გაჩნდა იქვე კარიბჭეც."

ზურგიანი კოშკის აშენების თარიღად VI-VII საუკუნეები უნდა მოვიჩნიოთ, შემდეგი ზრდა IX-X საუკუნეებში მომხდარა. ანსამბლის გალავანი ოთხი მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი **(ზაქარაია, 1981: 8-9).** ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე უძველესი დროიდან უნდა ყოფილიყო დამკვიდრებული ქართული მოსახლეობა. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ სერგი მაკალათია თვითონ ქარჩოხის ციხეს მიიჩნევს საცხოვრისად „ამ ხეობის მებატონე ფეოდალისა, თუ მეფის მოხელისა, რომელსაც... ხეობის დაცვა-პატრონობა ევალებოდა. ამის გარდა, აქვე უნდა ყოფილიყო ამავე სახელწოდების სოფელი ქარჩოხიც, რომელიც დასახელებულია სამთავნელის სარგოს წიგნში - ქარჩოხის სახელწოდებით" **(მაკალათია, 1968: 110).** მართალია, მკვლევარი ასევე შესაძლებლად მიიჩნევს „ქარჩოხი ყოფილიყო დღევანდელი პავლიანთკარი", თუმცა ჩემი აზრით, ეს ტერმინი უფრო ზოგადი უნდა ყოფილიყო და აერთიანებდა ზემო ქარჩოხის რამდენიმე სოფელს, რომლის ცენტრიც ქარჩოხის ციხის მიმდებარე ტერიტორია უნდა ყოფილიყო. გავიხსენოთ ისიც, რომ სოფელ თინიკაანის ადრეფეოდალური ხანის სამების ეკლესიაში იქნა მიკვლეული ხევისთავის ინსიგნია. მისი დათარიღების სავარაუდო ვერსია ძველი წელთაღრიცხვით IV საუკუნეა. გავიხსენოთ ასევე ლომისის სალოცავი, ყოფილა მთვარის საკულტო ტაძარი და დავინახავთ, რომ ზემო ქარჩოხის ტერიტორია უძველესი დროიდანაა დასახლებული.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ორი საუკუნის მანძილზე, ქარჩოხის (ცხმორის) ციხის მიდამოებში, მდინარე ქსნის მარცხენა მხარეს ოსური მოსახლეობა ცხოვრობდა, მათი საცხოვრისი დღეს ნასოფლარ ოხირის სახელწოდებითაა ცნობილი **(ახლოური, 2022 ბ).**

სამთავნელის სარგოს X საუკუნის ნუსხაში მოხსენიებული სოფელი ყაზოთი ნასოფლარი ხოზოეთია, რომელიც XV საუკუნის დრამისა და შესავლის გარიგების წიგნში ხოხოთადაა სახელდებული **(ჯავახიშვილი, 1974: 10).**

ხოზოეთი მაღალმთიანი სოფელი იყო, მდებარეობდა მდინარეების ქსნისა და ჭურთის წყალგამყოფის აღმოსავლეთ კალთაზე, სოფელ ქენქაანის დასავლეთით, ზღვის დონიდან 1420 მეტრზე. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში მოხსენიებულია როგორც „ხოზუეთი" **(ხოზუეთი, 1987: 494).** სწორედ ამ სახელით იყო იგი ბოლოს ცნობილი, რასაც ყურადღება მიაქცია ნ. ოთინაშვილმა: ხოზოეთი იქცა ხოზუეთად, ო გადავიდა უ - შიო **(ოთინაშვილი, 2012).** XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი მას „ხოზოეთის" სახელწოდებით იცნობს **(გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, 1962: 275; 1964: 63).** ჩემი აზრით, ხოზოეთი ქსნის მარჯვენა მხარეს, ჭორჭოხისა და დღევანდელი ბალაანის მოპირდაპირედ მდებარე სოფლებს აერთიანებდა, რაზეც უნდა მიგვანიშნებდეს ის ფაქტი, რომ მიდელაანის დასავლეთით, ქაშუეთის პლატოზე, სადაც საუკუნეების წინანდელი საცხოვრისის კვალი იკვეთება, ტყის პირას მდებარე ყოფილა პატარა ნიშ-სალოცავი, სადაც გასული საუკუნის 50-60-იან წლებამდე ლოცულობდნენ ხოზოეთში მცხოვრები გამხიტაშვილები და გაროზაშვილები **(ქენქაძე, 2014: 17).** ხოზოეთის მოსახლეობა, მიდელაშვილებთან ერთად, ბოლო დრომდე ლოცულობდა ასევე ქაშუეთის ეკლესიაში, რომელიც, თავის დროზე ქარჩოხის ხევისთავის საგვარეულო სალოცავი უნდა ყოფილიყო. ძველი დროიდან მომდინარედ მიმაჩნია ქაშუეთთან დაკავშირებულ ტრადიცია - ახალმოყვანილი პატარძალი აუცილებლად უნდა მიეყვანათ ეკლესიაში და დაელოცათ.

ყურადსაღებია კიდევ ერთი რეალობა, კერძოდ, ჭორჭოხში მოსახლე ბალხამიშვილები და ხოზოეთში მცხოვრები გამხიტაშვილები ერთმანეთს სახლიკაცებად ანუ ბიძაშვილებად თვლიდნენ. ეს, თავის მხრივ, ქარჩოხის ხევის ძველი სოფლების ერთიანობაზე მიგვანიშნებს **(ახლოური, 2022 ა: 139).** XX საუკუნის შუა წლებში ხოზოეთი, მთის სოფლების კვალობაზე, საკმაოდ დიდი დასახლება ყოფილა. „ომის დროს (იგულისხმება მეორე მსოფლიო ომი) ჩვენ სოფელში 42 კომლი ცხოვრობდაო" - იხსენებს მამის - მათე გამხიტაშვილის მოგონებას ომარ გამხიტაშვილი (გარდ. 2022 წელს)...

ხოზოეთი რომ ქარჩოხის ხეობაში ყველაზე ხალხმრავალი სოფელი იყო, ამაზე ვ. ქენქაძეც მიგვითითებს: „ძველების" თქმით საღამოს სოფლის ბოლოს, მამულებში რომ მივიდოდა კაცი, ქალაქის მსგავსად ხალხის ხმაური ისმოდა. ასეთი სიძლიერე და ხალხმრავლობა ხოზოეთმა მეორე მსოფლიო ომამდე შეინარჩუნა" **(ქენქაძე, 2010: 164).** სოფლიდან 26 ადამიანი გაუწვევიათ ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, მათგან მხოლოდ 4 დაბრუნებულა.

გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლომდე ხოზოეთში ჯერ კიდევ ცხოვრობდა 20-მდე კომლი. გამხიტაშვილებთან, გაროზაშვილებთან და ობგაძეებთან ერთად თითო კომლი იყვნენ ბალაშვილები, პავლიაშვილები და წიპტაურები. სოფლის ბოლო მოსახლენი გაროზაშვილები და გამხიტაშვილები იყვნენ, რომლებიც შედარებით ბარის სოფლებში - ქენქაანსა და მიდელაანში ჩამოსახლდნენ. ეს პროცესი, ფაქტიურად, XX საუკუნის 90-იან წლებამდე დასრულდა **(ახლოური, 2022 ა: 152-153).**

დღეს ქსნის ხეობაში თითქმის აღარავისთვისაა ცნობილი ნასოფლარ გოლგოლეთის წარსული, რომელიც ძველ ნუსხებში გოგოეთად იწოდებოდა **(კაკაბაძე, 1929: 10. ჯავახიშვილი, 1974: 10).** იგი მდებარეობს ქარჩოხის თემში, მდინარე ქსნის მარჯვენა მხარეს, სოფელ ქენქაანის სამხრეთ-დასავლეთით.

დემოგრაფიული აღწერების მიხედვით **(ჯავახიშვილი, 1967: 177-178. ქსმ, 1970: 1050. თაყაიშვილი, 1951: 12. ჯავახიშვილი, 1967: 211; 232).** გოლგოლეთი მოიცავდა ბეჟუანთ ნასოფლარს და მის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ვრცელ ტერიტორიას, სადაც გვხვდება ნამოსახლარების, ციხე-კოშკებისა და ეკლესია-მონასტრების კვალი.

გერმანელი მოგზაური იოჰან (ანტონ) გიულდენშტედტი თავის ჩანაწერებში ახსენებს როგორც გოლგოლეთს **(გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, 1962: 275**). ისე ბეგუანთკარს (Begmantkari) **(გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, 1964: 63, 389. ახლოური, 2007: 36),** რაც იგივე ბეჟუანთკარია. ეს კი, თავის მხრივ მიგვანიშნებს, რომ გოლგოლეთს ერთ-ერთი უბნის სახელითაც მოიხსენიებდნენ.

გოლგოლეთის საზღვრებში უნდა მოვიაზროთ მზარულიანთ მიწებიც. მზარეულიანი ბეჟუანის ზემოთ, დასავლეთით მდებარეობს. აქ მოსახლე ქენქაძეები გაცილებით დიდხანს შემორჩნენ ძველ სამკვიდროს. უკეთესადაა შემორჩენილი საცხოვრებლისა და სალოცავების ფრაგმენტებიც. მზარეულიანთში მცხოვრები ქენქაძეები დღევანდელ ქენქაანში დასახლდნენ, მათ შტოს დღეს მზარეულიანთ სახელით მოიხსენიებენ.

სოფელ ქენქაანის მკვიდრის, ნუგზარ გრიგოლის ძე ქენქაძის (დაბ. 1966 წელს) მონათხრობით, მისი ბებია და პაპა ხშირად ახსენებდნენ ზაქუტაანთ მამულებს, რომლებსაც ქენქაანის მოსახლეობა საქონლის საძოვრად იყენებდა. ეს მამულები ყოფილა სოფლის სამხრეთით, დაახლოებით 600-700 მეტრის დაშორებით, სადაც ასევე იკვეთება ნასოფლარის კვალი. სწორედ აქ უნდა ეცხოვრათ XVIII საუკუნის ქსნის საერისთავოს სტატისტიკურ აღწერილობებში ნახსენებ ზაქუტას შთამომავლებს. გოლგოლეთის უბნებს ერთმანეთთან და მეზობელ სოფლებთან საურმე გზა აკავშირებდა, რომლის კვალიც ბოლო დრომდე შემორჩა.

მზარეულიანსა და ხარბალს შორის მდებარე ვრცელ მამულს პანტიანი ეწოდებოდა, სადაც ასევე იკვეთება სალოცავის კვალი. სახელწოდება დაკავშირებული უნდა ყოფილიყო პანტის ჯიშის მსხლებთან, რომელთა სიმრავლე აქ დღესაც თვალშისაცემია.

ნაგებობების კვალი ჩანს კვირიკეთის (კვირიქედის) ახლოს, რომელიც მუნჯების სახელით იყო ცნობილი. კვირიკეთსა და მუნჯებს ყოფს პატარა ტყიანი ადგილი და ნაკადული. მუნჯები საქონლის საძოვარი ადგილი იყო, იგი უფრო კლდიანია და სახნავად ვერ გამოიყენებდნენ. სავარაუდოდ, იქ ადრე ტყე ყოფილა და გაუკაფავთ. სახელი უნდა მიეღო უტყვი, მიკარგული ადგილმდებარეობის გამო.

ჭურთის წყალგამყოფ ქედზე ასევე მდებარეობს საკმაოდ ვრცელი, დაკიდული მინდორი - გრძელველა. ცნობილია, რომ ამ ადგილს ერთხანს სათიბად და სახნავად იყენებდნენ მეზობელი სოფლის - მიდელაანის მკვიდრნი.

2008 წლის აგვისტოს ომამდე გოლგოლეთში მცხოვრებ მოგვარეთა მამულებს ქენქაანის მოსახლეობა პატრონობდა. გოლგოლეთის მოსახლეობის ნაწილმა ქართლის, ნაწილმა კი - კახეთის სოფლებს მიაშურა. არა მხოლოდ გოლგოლეთიდან, უშუალოდ ქენქაანიდანაც ხშირად ხდებოდა მოსახლეობის მიგრაცია. ქენქაძეები, ძირითადად, მიგრირებულნი არიან თბილისში, კასპსა და დედოფლისწყაროში. თბილისსა და კასპის მუნიციპალიტეტში მთის სოფლებიდან მოსახლეობის დამკვიდრება ჩვეული ამბავი იყო, ისევე, როგორც გორისა და მცხეთის მუნიციპალიტეტებში. ისინი ტერიტორიულად ახალგორთან ახლოს იყვნენ. თუმცა დედოფლისწყაროში და კერძოდ, ზემო ქედშიც ბევრი ქსნისხეობელი გადასახლდა, მათ შორის, უმეტესობა ქენქაძეები.

ქარჩოხის ხეობაში, ქსნის მარჯვენა მხარეს ნასოფლარი კვერიათი მდებარეობს, ახალგორიდან დაახლოებით 27 კმ.-ის დაშორებით. ცნობილია ზურგიანი კოშკით, რომელსაც IX-X საუკუნეებით ათარიღებენ **(შიდა ქართლი, 2008: 255).** იგი ფაქტიურად აკონტროლებდა მთელ ხეობას. კოშკის გარშემო ნასახლარებია...

XV საუკუნის სამთავნელის სამწყსოს გარიგების წიგნში კვერიათი მოხსენიებულია კვერიეთის სახელწოდებით **(ჯავახიშვილი, 1974: 10).** სოფლის მოსახლეობის შესახებ პირველ ცნობებს ვხვდებით XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სხვადასხვა წყაროში, მათ შორის სამთავისის საყდრის გამოსავლის დავთარში, რომლის მიხედვით, კვერიათში უცხოვრიათ წიპტაურების წინაპარ წიკლაურებსა და ერთ კომლ პავლეურს **(ჯავახიშვილი, 1974: 10. ქსმ, 1970: 1047-1048).** სიგელის ჯავახიშვილისეულ ვარიანტში სოფლის სახელწოდებად შეცდომით კაჯრაეთია მიწერილი, სამართლის ძეგლებში - კვერიეთი.

ქსნის საერისთავოს 1774 წლის სტატისტიკურ აღწერილობაში წიკლაურის მაგივრად წიპტაურია მითითებული **(თაყაიშვილი, 1951: 40. ჯავახიშვილი, 1967: 187-188).**

იოანე ბატონიშვილის 1803 წლის აღწერაში კვერიათი კვერნეთის სახელითაა მოხსენიებული **(Акты, 1868: 82).** ამავე სახელწოდებით იცნობს მას გიულდენშტედტი **(გიულდენშტედტი, 1964: 63),** თუმცა, იმავე გიულდენშტედტთან, ერთგან, ეს უზუსტობა გამოსწორებულია, როცა სოფლის სახელწოდებად მიუთითებს კვერიეთს **(გიულდენშტედტი, 1962: 275).** 1804 წლის პირველ კამერალურ აღწერაში ვკითხულობთ - პერიათს **(გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ), 1956: 74).** როგორც ჩანს, დროთა ვითარებაში ხმოვანი ე გადაიქცა ა-დ, რის შედეგადაც მივიღე სოფლის დღევანდელი სახელი.

წიპტაურების ძველი ნასახლარები და სასაფლაო კვერიათის ციხის ჩრდილოეთით მდებარეობს, საიდანაც შემდგომში შედარებით ქვემოთ, სოფელ კარელთკართან ახლოს ახალ სამოსახლოში დამკვიდრდნენ. პავლიაშვილების წინაპრებს კი, გადმოცემით, მუხიშართის მიდამოებში ჰყოლიათ ცხვარ-ძროხა. რძეს და დოს, სასმელ წყალთან ერთად თიხის მილების მეშვეობით უშვებდნენ ჩრდილოეთით პოროლიანში. ნასოფლარ პოროლიანის ახლოს თიხის მილების არსებობა დადასტურდა 2007 წლის 1 ივლისს ფიჭური კავშირგაბმულობის „მაგთის" კომპანიის ანძის დასადგმელად ჩატარებული მიწის სამუშაოების დროს, როცა ქარჩოხის თემის მაშინდელმა გამგებელმა გელა ბალაშვილმა, მებულდოზერე თამაზ ლოთიშვილმა და ისტორიკოსმა ვიტალი ქენქაძემ მიწის სიღრმეში 130 სმ.-ზე მიაკვლიეს 38 სმ. სიგრძის კონუსური ფორმის რამდენიმე თიხის მილს **(ქენქაძე, 2008: 11).**

2002 წლის მონაცემებით, ქვემო წიპტაურებში ჯერ კიდევ 38 ადამიანი ცხოვრობდა, 18 მამაკაცი და 20 ქალი **(საქართველოს მოსახლეობის... 2003: 120).** გარდა ამისა, ორი კომლი წიპტაურებიდან დოჩიანში დასახლდა, ერთი კომლი - ქენქაანში.

აგვისტოს ომის შემდეგ წიპტაურებს კიდევ ერთხელ მოუხდათ სამკვიდროს დატოვება, ოღონდ ამჯერად იძულებით და მამაპისეული კერიდან საკმაოდ შორს - დევნილთა დასახლებებში. დღეს ქვემო წიპტაურებიც ნასოფლარია...

ქარჩოხის ხეობის ადმინისტრაციული ცენტრის, სოფელ ბალაანის მოპირდაპირე მხარეს, მდინარე ქსნიდან დაახლოებით 5 კმ.-ის დაშორებით მდებარეობს ნასოფლარი ძაბოეთი, რომელსაც მეზობელი სოფლების მოსახლეობა ძაბუეთის სახელწოდებით მოიხსენიებდა. იგი ნახსენებია XV საუკუნის სამთავნელის სამწყსოს გარიგების წიგნში ძაბლეთის სახელით **(ჯავახიშვილი, 1974: 10).**

ძაბოეთი ძველი ქართული სოფელი იყო, სადაც XVIII საუკუნიდან ოსური მოსახლეობა დამკვიდრდა. აქ მცხოვრებთა შთამომავლების ინფორმაციით, ისინი ქსნის ხეობაში დვალეთიდან გადმოსულან, უფრო კონკრეტულად კი - ზახადან, რომელიც ისტორიული დვალეთის ცენტრალური ხეობა გახლდათ. თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ ძაბოეთში ხშირად ხდებოდა მოსახლეობის სხვადასხვა ნაკადის მონაცვლეობა და შესაბამისად იცვლებოდა დემოგრაფიული ვითარებაც.

ვ. ქენქაძის აზრით, ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე „ძეგლი ერისთავთაში" ნახსენები „ქოვსოითი" სოფელ მიდელაანის დასავლეთით „გარძაბოურში", ქაშუეთის პლატოზე შემორჩენილი სამუბნიანი დასახლება უნდა ყოფილიყო, რომელიც გახლდათ ქოვსოეთელი ანუ ქარჩოხელი ხევისთავის რეზიდენცია. მისი შემადგენელი ნაწილი იყო ძაბოეთის ხევში არსებული შუა საუკუნეების დროინდელი ხუთსართულიანი ზურგიანი ციხე-კოშკი, თავისი კარის ეკლესიით, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებითა და გალავნით... „ასევე დასაშვებია ვერსია იმის თაობაზე, რომ, აღნიშნულ პლატოს მეზობლად სამხრეთით და ჩრდილოეთით არსებული სოფლის სახელები: ხოზოეთი, ქოვსოეთი და ძაბოეთი დაკავშირებულნი იყვნენ ერთ რომელიმე დროსთან და ისტორიულ მოვლენასთან... აწ ნასოფლარ ძაბოეთის კავშირი ქაშვეთის პლატოსთან ვლინდება მისი მეორე სახელიდან, ჯერ კიდევ ხმარებად ტოპონიმ - გარძაბოურიდან" **(ქენქაძე, 2014: 17).** ეს ტოპონიმი მიგვანიშნებს, რომ ძაბოეთად მხოლოდ ის ადგილი არ მოიხსენიებოდა, სადაც მეთვრამეტე საუკუნიდან დამკვიდრდნენ ოსები, იგი გაცილებით ვრცელი ტერიტორიის აღმნიშვნელი ტერმინი გახლდათ...

ძაბოეთს თავის მოგზაურობის ჩანაწერებში ახსენებს იოჰან (ანტონ) გიულდენშტედტი და აღნიშნავს, რომ იგი სხვა სოფლებთან ერთად ეკუთვნის ქსნის ერისთავს. ამ დროისთვის ძაბოეთი უკვე ოსებითაა დასახლებული... რაც გერმანელ მოგზაურს პირველ რიგში შეუმჩნევია, ისაა, რომ ქართველები და ოსები „კარგად ეთვისებიან ერთმანეთს", ამასთან, როგორც ქართლის, ისე იმერეთის მეფის მორჩილი ოსები „მთლად ქართველებივით ცხოვრობენ" **(გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, 1962: 275; 1964: 63).**

იოანე ბატონიშვილი „ქართლ-კახეთის აღწერაში" „ოსის სოფელ ძაბოეთს" ჭურთის ხეობის სოფლების რიგში მოიხსენიებს და მიგვანიშნებს, რომ იქ არიან მოსახლენი **(იოანე ბაგრატიონი, 1986: 37).**

ქსნის ოსების საკომლო მამულების ნუსხაში, ძაბოეთის შესახებ ცალკე მონაცემები არ გვხვდება, როგორც, მაგალითად ქარჩოხის ხეობის სხვა ოსებით დასახლებული სოფლების - ლომისისა და ოხირის შემთხვევაში. როგორც ჩანს, ძაბოეთი ამ შემთხვევაშიც ჭურთის ხეობის სოფლებშია ნაგულისხმევი: „ქ. ჭურთას სამოცი საკომლო, მომეტებულს ახალს-ახალს გატეხილებს გარდა" **(ჯავახიშვილი, 1974: 188).**

1803 წლის იოანე ბატონიშვილის საუფლისწულოს აღწერის შეჯამებითი ცნობების მიხედვით „ძაბერეთში", რომელიც ჭურთის ხეობის ოსებით დასახლებულ სოფლებსაა მიკუთვნებული, 11 კომლი ცხოვრობს, 73 მამაკაცი და 32 ქალი **(Акты, 1868: 82).**

1804 წლის რუსული კამერალური აღწერაში სოფლის სახელწოდება შედარებით სწორადაა აღნიშნული - ზაბოეთი, კომლების რაოდენობა კი, 1803 წელთან შედარებით 15-მდეა გაზრდილი.

აღწერიდან ჩანს, რომ XIX საუკუნის დასაწყისში ძაბოეთში ყველაზე მეტი მუზაევების წინაპრები ყოფილან, 7 ოჯახში 37 მამაკაცი და 18 ქალია **(გსიემ, 1956: 84-86).** „სოფელი კოლექტივიზაციამდე (30-იანი წლების დასაწყისამდე) 35 ოჯახს ითვლიდა, სადაც მოწინავე გლეხური მეურნეობა ჩამოყალიბდა. 1934 წელს გაიხსნა პირველი დაწყებითი სკოლა, რომლის მასწავლებლად დაინიშნა ფირუზ ბესარიონის ძე მუზაევი. მოგვიანებით ფირუზი და მისი ოჯახი საცხოვრებლად ქალაქ ორჯონიკიძეში გადავიდა, საიდანაც სამამულო ომის გამო 1942 წელს კვლავ საქართველოში სოფელ ძაბოეთს დაუბრუნდა და წლების განმავლობაში მუშაობდა ჯერ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, შემდეგ ფერმის გამგედ და სხვადასხვა თანამდებობაზე" **(ქენქაძე, 2010: 81).** ქარჩოხის ხეობაში მეტად პატივსაცემ კაცს, ოსებთანაც და ქართველებთანაც ახლო ნათესაური ურთიერთობა ჰქონია. 108 ნათლული ჰყავდა ჩრდილოეთ ოსეთსა და საქართველოში. ეს ფაქტი თავისთავად დასტურია იმის, თუ როგორ იყო ქსნის ხეობაში ქართველთა და ოსთა მეგობრობა ნათელ-მირონობით გამტკიცებული და არა მხოლოდ ნათელ-მირონობით, ფირუზს მეუღლეც ქართველი ჰყავდა - ფეფო ილურიძე. მათმა ოჯახმა ძაბოეთი 1960 წელს დატოვა და მიდელაანის ჩრდილოეთით, „ძაბურთხევზე" სოფლის განაპირას დასახლდნენ. XX საუკუნის 70-იან წლებში ძაბოეთიდან ქენქაანში გადასახლდა ბოლო მკვიდრი ბათა (ბათირბეგ) კორაევი, ცოტა ხნით ადრე კი ვლადიკავკაზში წასულა ილა მუზაევი.

კოლმეურნეობების დაშლის შემდეგ ძაბოეთის სათიბები მიდელაანის მოსახლეობაზე გადანაწილდა. ხელშეუხებელი რჩებოდა ნასახლარების ტერიტორია, რომელსაც მიდელაანში ჩამოსახლებული ზაურ ფირუზის ძე მუზაევის ოჯახი თიბავდა. 2008 წლის აგვისტოს ომამდე ეს მშრომელი, ალალი ხალხი თავისებურად ეფერებოდა და უვლიდა თანასოფლელთა ნაფუძარს.

დღეს, ისევე როგორც ქარჩოხის ხეობის სოფლების უმრავლესობა, ძაბუეთიც გავერანებულია და, როგორც უპატრონოდ დარჩენილ მოუვლელ მიწას ჩვევია, ეკალ-ბარდით შემოსილი...

ლომისის ქედის დაყოლებაზე, სოფელ ელოიანის ჩრდილოეთით მდებარეობს ქარჩოხის ხეობის კიდევ ერთი ნასოფლარი, რომლის სახელწოდებაც დაკავშირებულია ლომისის წმინდა გიორგის სახელთან.

ვახუშტი წერს: „მთის თხემსა ზედა, არს ეკლესია წმიდის გიორგისა, წოდებული ლომისა და ამის გამო ეწოდა მთასა ამას სახელი ესე, არამედ უგუმბათო არს და არიან მრავალნი ხატნი და ჯუარნი ოქრო-ვერცხლისანი, დახიზნულობით. უჭურეტს სამხრით კსანსა, ჩრდილოთ მთიულეთს. მთა ესე უტყეო არს და ბალახ-ყუავილიანი, კალთათა ტყიანი" **(ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: 355).**

ლომისა წინაქრისტიანული ღვთაება იყო მთიულეთში, მთავარი სალოცავი აგებულია ქსნისა და არაგვის წყალგამყოფ ქედზე. იგი ყოფილა მთვარის საკულტო ტაძარი, რომლის ადგილზეც VIII-IX საუკუნეებში აუგიათ ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლი **(გვასალია, 1983: 286).**

ნასოფლარის ტერიტორიაზე სასაფლაოებისა და ნასახლარების გარდა რამდენი ძველი ნაგებობის კვალია შემორჩენილი. როგორც ახალგორის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული ძეგლებისადმი მიძღვნილი ნაშრომი გვაუწყებს, სოფელ ელოიანის მიდამოებში ნანგრევებად ქცეული ციხის კომპლექსიდან ყველაზე უკეთ შემონახულია ფლეთილი ქვით ნაგები კოშკი სამი სართულის დონეზე. კომპლექსის ტერიტორიაზე სხვადასხვა ნაგებობებისა და გალავნის კვალი იკვეთება. გვიანი შუა საუკუნეებით თარიღდება ასევე ზურგიანი კოშკი. შუა საუკუნეებს მიეკუთვნება დიდი ზომის ფიქალით

ნაგები სწორკუთხა მოხაზულობის ეკლესია, რომლის ტერიტორია მოფენილია ნაშალი ქვით.

ნასოფლარის ტერიტორიაზე ყურადღებას იქცევს ასევე გვიანი შუა საუკუნეებით დათარიღებული სამი აკლდამა:

პირველი - გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, ორქანობიანი გადახურვით. მშენებლობისას გამოყენებულია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვა. სამხრეთ კედელში გაჭრილია ვიწრო ღიობი.

მეორე აკლდამა სხვადასხვა ზომის ფიქალითაა აგებული, კედლები ყრუა, ღიობი მიწითაა დაფარული.

მესამე აკლდამა მოთეთრო-მოყვითალო ფერის ადგილობრივი წარმოშობის ქვით აუშენებიათ, ღიობი აღმოსავლეთ კედელშია დატანებული, დასავლეთი ნაწილი მიწითაა დაფარული. გადახურვა ბანური სტილისაა **(შიდა ქართლი, 2008: 67).**

რაც შეეხება ოსების ლომისის ტერიტორიაზე დასახლებას, ეს XVIII საუკუნეში უნდა მომხდარიყო. აღნიშნული ფაქტის დაზუსტებამდე ყურადღება უნდა მივაქციოთ გ. ჯალაბაძის მოსაზრებას: „ქსნის ხეობის ეთნიკური შემადგენლობა ისტორიულ ხანაში ასე წარმოგვიდგება: ძირითადი და ძირძველი მოსახლეობაა ქართველები, რომელთა განსახლება მოდიოდა ქარჩოხის ზედა წელიდან ქვემოთ, ცხრამმულას და ჭურთის ხევიდან ქვემოთ და ასევე ქსნის სხვა პატარა ხევების მოსახლეობის ჩათვლით. ქარჩოხის ზედა წელზე ჟამურის მიდამოებში და ცალკეული ხევების სათავეებში მოსახლეობდა დვალური მოდგმის ხალხი. XII-XIV საუკუნეებიდან ქსნის ზედა წელის ხეობის მიდამოებში ოსეთიდან შემოსული მოსახლეობა ჩნდება, რომელიც ადვილად ემკვიდრება დვალებთან ერთად და მიმდინარეობს მოსული ელემენტების დაფენება" **(ჯალაბაძე, 1975: 14).** აღნიშნულ საკითხს გამოეხმაურა ქართულ-ოსური ურთიერთობების მკვლევარი, პროფ. რ. თოფჩიშვილი: „ამ მოსაზრების დამადასტურებელი რაიმე საისტორიო წყარო არ არსებობს. ქსნის ზედა წელი (ჟამური, ქარჩოხი) არასდროს შედიოდა დვალეთში და არცერთი საისტორიო წყაროთი ამ რეგიონში დვალებს არ უცხოვრიათ, მითუმეტეს, აქ დვალთა და ოსთა ურთიერთშერწყმაზე (თანაც XIII-XIV საუკუნიდან) ლაპარაკი ზედმეტია". თოფჩიშვილს განსაკუთრებით მიუღებლად მიაჩნია XIII-XIV საუკუნეებში ოსთა მიგრაციის დაწყება ქსნის ხეობაში. ამის დასადასტურებლად კი საკმარისად მიაჩნია დიდი ოსი მეცნიერის ვასილ აბაევის ნათქვამი: „ოსები ქსნის ხეობაში ყველაზე გვიან, 200 წლის წინ დასახლკარდნენო" **(თოფჩიშვილი, 1997: 115-116).**

ვახუშტი ბატონიშვილი „კსნის-ხევისა და მამულისა მისისა" აღწერისას არაფერს ამბობს აქ მოსახლე ოსებზე, განსხვავებით ჟამურისაგან: „ქარჩოხს დასავლით არს კსანსა ზედა ჟამური. აწ მსახლობელნი არიან ოსნი" **(ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: 355).**

XVIII საუკუნის 30-იან წლებში ქარჩოხში ოსური მოსახლეობა არ ჩანს, ამ დროისათვის მათ უკავიათ მხოლოდ ჟამურის ხეობაში 9 მთის სოფელი და ჭურთის ხეობის სათავეში სამი სოფელი **(თოფჩიშვილი, 1997: 119).**

გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი 1772 წლის 1 ოქტომბერს ლარგვისიდან ლომისის გადავლით რუსეთში გაემგზავრა. მან პირადად მოინახულა ხეობის მთის სოფლები, რომელსაც ხშირად ლომისის მხარედ მოიხსენიებს: „ლომისი. ჟამურს ქვემოთ, საფერშეთის ახლოს. ზემოთ ქსნის მარცხენა სანაპირზე. იქ არის საბადოები. მისი სოფლებია: 1. ცალკარი 2. შმორის ციხე (ცხმორის ციხე - დ.ა.) 3. ქარელ(თკარ)ი (კარელთკარი - დ.ა.) 4. შატაკიანთკარი 5. ბალხა(ნთკა)რი 6. ძაბოეთი 7. ხოზოეთი 8. კვერნეთი (კვერიათი - დ.ა.) 9. ჭორჭოხი 10 მიდელათკარი 11. ხარბალი 12. ქენქათკარი 13. ბეგუანთკარი (ბეჟუანთკარი-გოლგოლეთი - დ.ა.) 14. ყველდაბა" **(ახლოური, 2007: 36).** ჩამონათვალში ვერ ვხვდებით ოსებით დასახლებულ ქარჩოხის ხეობის სოფლებს - ლომისს და ოხირს, მაგრამ საუბარია ძაბოეთზე, სადაც ამ დროს უკვე ოსები მკვიდრობდნენ და ცხმორის ციხეზე, რომელიც შეცდომით შმორის ციხედაა მითითებული. გიულდენშტედტს

შმორი (ცხმორი) ერთგან ჭურთისა და ჟამურის სოფლების რიგშიც აქვს აღნუსხული, ისევე როგორც ქარჩოხის ხეობის რამდენი სხვა სოფელი **(გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, 1962: 275).** ჩემი აზრით, XVIII საუკუნის 70-იან წლებში, ცხმორის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე, ლომისსა და ოხირზე უკვე უნდა ყოფილიყო ოსური ახალშენები, რომელსაც გერმანელი მოგზაური ზოგადად, შმორის ციხედ მოიხსენიებს.

ქსნის ოსების საკომლო მამულების ნუსხაში, რომელიც, სავარაუდოდ, XVIII საუკუნის ბოლო პერიოდის უნდა იყოს **(ახლოური, 2021 ა: 240).** ლომისისა და ოხირის ოსები სულ 14 კომლია: „ქ. ლომისა და ოხირი საკომლო თოთხმეტი" **(ჯავახიშვილი, 1974: 188).** ეს კი მიგვანიშნებს, რომ ოსები აქ დიდიხნის დასახლებულები არ უნდა იყვნენ.

იოანე ბატონიშვილი 1794-1799 წლების ქართლ-კახეთის აღწერაში ლომისას ოსებით დასახლებულ ქარჩოხის ხეობის სოფლად ოხირთან ერთად მიიჩნევს:

„ქ. ქარჩოხი ხეობა არს. სოფელი 7, მოსახლენი

ქ. ამასვე მიეწერება ოსები, მოსახლენი

ქ. ლომისა, მოსახლენი

ქ. ოხირი, მოსახლენი" **(იოანე ბაგრატიონი, 1986: 37).**

1803 წლის საუფლისწულო აღწერის მონაცემებით კი ლომისის ტერიტორიაზე 5 ოჯახი ცხოვრობს, 14 მამაკაცი და 7 ქალი **(Акты, 1868: 82).**

ოსების რაოდენობა მკვეთრადაა გაზრდილი მომდევნო წლის რუსულ კამერალურ აღწერაში. სულ ლომისის მოსახლეობა 8 ოჯახია, 31 მამაკაცი, 29 ქალი **(გსიემ, 1956: 81-82).**

ქსნის ხეობის ოსურ მოსახლეობაში მუდმივად ჰქონდა ადგილი დემოგრაფიულ ცვლილებს, ემატებოდა ახალი კომლები, სამაგიეროდ, ოჯახების ნაწილი საერისთავოს სხვადასხვა სოფლებში გადაადგილდებოდა. ყოველივე ამას სისტემატური ხასიათი ჰქონდა XIX საუკუნეში. ასე, მაგალითად, 1850 წელს ლომისის ხევიდან ორი ოჯახი ახმაჯში გადასახლებულა. იმავე წელს ქსნის ზედა წელიდან 20 კომლი დამკვიდრდა ქსნის ხეობის მთისწინეთის სოფელ ბეჟანთკარში **(თოფჩიშვილი, 1997: 179-180).** თავის მხრივ, XIX საუკუნის 10-იან წლებში ოსების ნაწილი ქსნის ხეობაში პატარა ლიახვიდან გადმოსახლდა, რის შედეგადაც, მთის სხვადასხვა სოფლებში ოსთა კომლობრივი რაოდენობა 33-ით გაიზარდა. ლომისში დამკვიდრებულ ქისიევების შთამომავალთა ცნობით, ისინი სწორედ პატარა ლიახვის სათავეებთან მდებარე სოფელ ბისოეთიდან უნდა იყვნენ მოსულები.

XX საუკუნის 60-იან წლებში ლომისის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ცხოვრობდა ოსური მოსახლეობა. გ. ჯალაბაძე, რომელიც 1968-1969 წლებში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების მიერ ქსნის ხეობაში განხორციელებული ექსპედიციების მონაწილე იყო, იმ დროისთვის ქსანზე მოსახლეობისაგან დაცლილ სოფლებს ასახელებს: გეზევრეთს, კობაურს, გაღმა საძეგურს, გეხავს, საქორეთს, ლომის ხევს (ხაზგასმა ჩემია - დ.ა.), კოდიჯვარს, წინუბანს, გულითას, ბალისხიდს, კოკაითას, ჯორდისს... და მიგვანიშნებს, რომ „ჩამოთვლილი სოფლები 1966 წელს გამოცემულ კრებულში „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა" აღნიშნული იყო. ასე, რომ მათი დაცლა სულ რაღაც უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე მომხდარ ფაქტს წარმოადგენსო" **(ჯალაბაძე, 1975: 23).**

ლომისა, იგივე „ლომის ხევი" რამდენიმე უბნად იყო გაყოფილი: ქისიანი, ფერსაანი, გიზოანი, გოჭაანი, გარსიანი, გურწიანი, რომელსაც ახსენებს ს. მაკალათია, 1968 წელს გამოცემულ წიგში „ქსნის ხეობა": გურწიანთ მთაზე დგას საგუშაგო კოშკი, რომელიც დაფარულია ტყით. აქედან მოჩანს ლომისის ქედი, ზედ ლომისას საყდრით **(მაკალათია, 1968: 110-111)...** ყველაზე ზემოთ, ლომისის სალოცავთან ახლოს ფერსაანთკარი იყო. ქისიანთ ნასოფლარი სოფელ ელოიანის ზემოთ, ჩრდილოეთითაა... სოფლის ბოლო მოსახლენი ფერსაევები, გურწიევები და ქისიევები იყვნენ. გურწიევები ჩრდილოეთ კავკასიაში, ალაგირის რაიონში დამკვიდრდნენ, ქისიევების ნაწილი ახალგორში, ნაწილი - ვლადიკავკაზში გადასახლდა.

სოფელ ძაბოეთზე საუბრისას ვახსენეთ სამუბნიანი დასახლება ქოვსოითი, რომელსაც საზოგადოებისათვის უცნობ გეოგრაფიულ პუნქტად მოიხსენიებს ვ. ქენქაძე და აღნიშნავს, რომ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევიაო. იგი ქოვსოითად მიიჩნევს სოფელ მიდელაანის ჩრდილო-დასავლეთით, ქაშუეთის პლატოს ტერიტორიას, რომელიც, სავარაუდოდ, ქარჩოხის ხევისთავის რეზიდენცია უნდა ყოფილიყო. მკვლევარის აზრით, აქედან გახლდათ ერისთავთერისთავ იოვანეს უმშვენიერესი მეუღლე - მნათობი. ამ ვერსიას კი ხევისთავის რეზიდენციისათვის დამახასიათებელი რამდენიმე გარემოებით ხსნის 1. ეს გახლავთ ქაშუეთის პლატოზე არსებული დიდი დარბაზული ფორმის მკვიდრი ნაგებობის - საგვარეულო სახლის ნანგრევები; 2. პლატოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში ადრე შუასაუკუნეების ქაშუეთის სალოცავი სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებით და საუკუნოვანი გიგანტური წიფლის ხეებით; 3. ძაბუეთის ხევში „თანდილაანთ მიწებთან" მდგარი ხუთსართულიანი ციხე-კოშკი კარის ეკლესიით, გალავნითა და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებით და 4. საგვარეულო სასახლის ნანგრევებთან ფიქსირებული საგვარეულო სამარხი, რომლის განძეულის ერთი ნაწილი XX საუკუნის 60-იან წლებში შემთხვევით აღმოუჩენია სამწყემსურში მყოფ ვლადიმერ ივანეს ძე მიდელაშვილს (დაბ. 1922 წელს). სამწუხაროდ, ვლადიმერის მიერ ნაპოვნი თეთრი ფერის მძივები, წყვილი საყურე და დაახლოებით 8 სანტიმეტრი სიგრძის ვერცხლის ორი თევზი შემდგომში დაკარგულა. ვ. ქენქაძის ღრმა რწმენით, თუ მეცნიერულად იქნება შესწავლილი ქაშუეთის პლატოს არქეოლოგიური კერა, „დიდი ალბათობით დადასტურდება ქარჩოხელი დიდებულ აზნაურის საგვარეულო სამარხისა და საცხოვრისის არსებობა, რომელიც... შესაძლებელია მივიჩნიოთ ქოვსოეთელ ხევისთავის რეზიდენციად" **(ქენქაძე, 2014: 12-17).**

2008 წლის აგვისტოს ომმა მძიმე დაღი დაასვა იმ დროისთვის ქსნის ხეობის ბოლო დასახლების ზემო ქარჩოხის ხეობის სოფლებს, რომლებიც დღეს უკვე ნასოფლარად არიან ქცეულნი, მათ შორის, თინიკაანი, სადაც 1985 წლის ივლისში საქართველოს ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს პასპორტიზაციის განყოფილების ექსპედიციამ ადრეფეოდალური ხანის სამების ეკლესიაში ხევისთავის ინსიგნიას მიაკვლია. შტანდარტი შემდგომში გადატანილი იქნა ქსნის ხეობის ისტორიის, არქეოლოგიისა და არქიტექტურის მუზეუმ-ნაკრძალში. მისი დათარიღების სავარაუდო ვერსია ძველი წელთაღრიცხვით IV საუკუნეა. როგორც ვ. ღუნაშვილი შენიშნავს, „ახალგორის რაიონის ტერიტორიაზე, ქსნის ხეობაში, არასრულ არქეოლოგიურ მონაპოვართა შედეგად ადრეანტიკურ ხანაში - ძვ. წ. IV ს. ოთხ ადგილას ლოკალიზდება სახევისთავოს ცენტრები: საძეგურის, ყანჩაეთის, იკოთის და თინიკაანის სახით... ადრეანტიკური ხანის შტანდარტი, როგორც ხევისთავის ინსიგნია, შესაძლებელია ხმარებაში ყოფილიყო, როგორც წინაფეოდალურ ასევე ფეოდალურ პერიოდში, სანამ არსებობდა მცირე ადმინისტრაციული ერთეულები - ხევები" (ღუნაშვილი, 1997: 124-126). **(ღუნაშვილი, 1997: 124-126).** თინიკაანი მდებარეობს მდინარე ქსნის მარჯვენა მხარეს, ახალგორიდან 34 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 1520 მეტრზე **(თინიკაანი (ქსე), 1979: 683).** სოფლის სახელწოდება აქ დასახლებული თინიკაშვილებიდან მოდის. მათი წინაპარი ფშაველი გაბიდაური ქსანზე სოფელ ხოშარადან გადმოსახლებულა, რაზეც რ. თოფჩიშვილიც ამახვილებს ყურადღებას: საისტორიო საბუთებითა და ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, რომ თინიკაშვილები ქსნის ხეობაში მიგრირებულნი არიან ფშავიდან და მათი ადრინდელი გვარი იყო გაბიდაური" **(თოფჩიშვილი, 2005: 188-189).** შემდგომში თინიკაშვილებიდან მომდინარე გვარებია: ახლოური, ბალაშვილი, ხოკრიშვილი, დადეგაშვილი **(ახლოური, 2022 გ: 127).**

2002 წლის აღწერით თინიკაანში 26 მცხოვრები იყო, 13 მამაკაცი და 13 ქალი **(საქართველოს მოსახლეობის... 2003: 120).** გვარი რამდენიმე შტოსგან შედგებოდა: თოხლიაანი, ბასილაანი, მგელიანი, პაპიზარიანი, ხოლოფაანი **(ახლოური, 2022 გ: 127).**

დღეს, სამწუხაროდ, სახევისთავოს ძველი ცენტრი, ისტორიული სოფელი თინიკაანი მოსახლეობისაგან მთლიანად დაცლილია. ვ. ქენქაძის სიტყვებით, რომ ვთქვათ: ამ „დიდი წარსულის მქონე, სხვადასხვა გვარებისა და სოფლების წარმომშობ სოფელში 2010 წლის მობრძანებას აღარც კაცი შეხვედრია, აღარც ქალი და აღარც ბავშვი. არც ძაღლს დაუყეფია და არც მამალს დაუყივლია. დრომ... თავისი საზიზღარი მწარე პირით გადაყლაპა ოქროს კარებიანი „სამების" პატრონი, სახევისთავოს ხატების შესაკრებ-საბრძანისი, ხევისთავის საჯდომი სოფელი თინიკაანი. შეუბრალებელი სისასტიკით დაანელა და გააქრო ქსნის ხეობის 2008 წლის ოკუპაციამ სოფელი" **(ქენქაძე, 2010: 34).** 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ნასოფლარად იქცა ასევე ზემო და ქვემო ლოთიანი, კარელთკარი, ხოკრიანი, წიპტაურები და ა.შ. ზოგიერთ სოფელში კი, სამწუხაროდ, მხოლოდ რამდენიმე კაცია შემორჩენილი...

დასკვნები

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დასკვნების სახით აღვნიშნოთ, რომ:

ქარჩოხის ხეობა უძველესი დროიდან იყო დასახლებული. სახევისთავოს ცენტრი ლოკალიზდება სოფელ თინიკაანის ტერიტორიაზე, სადაც ძველი წელთაღრიცხვით IV საუკუნით დათარიღებული ხევისთავის ინსიგნია იქნა მიკვლეული.

ქარჩოხის ხეობის მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლი გახლავთ ქარჩოხის ციხე-კომპლექსი, რომელიც ცნობილი იყო ასევე ციხეკლდისა და ცხმორის ციხის სახელით. აქ ზურგიანი კოშკი აგებული უნდა იყოს VI-VII საუკუნეებში, შემდგომი ზრდა კი IX-X საუკუნეებში მომხდარა. შეიძლება ითქვას, რომ ქარჩოხის ცენტრი იმ დროისთვის ციხის ტერიტორია გახლდათ თავისი გარეშემო სოფლებით, სადაც დღეს ნასოფლარების კვალი იკვეთება.

ქსნის და, მათ შორის ქარჩოხის ხეობის მოსახლეობას, მძიმე დაღს ასმევდა უცხოტომელთა თარეში, მათ შორის VII საუკუნიდან საქართველოში გაბატონებული არაბების. წყაროებიდან ჩანს, რომ არაბთა შემოსევებმა ქსნის ხეობის ბევრი სოფელი იავარქმნეს და ნასოფლარად აქციეს.

ქარჩოხის ხეობის სოფლების შესახებ ცნობები მოგვეპოვება X საუკუნის სამთავნელის სარგოს დავთარში, XV საუკუნის XV საუკუნის დრამისა და შესავლის გარიგების წიგნში. წყაროებში, მოხსენიებული ქარჩოხის ხეობის რამდენიმე სოფელი დღეს აღარ არსებობს, თუმცა ნაშრომში, სათანადო ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით, ხდება მათი ლოკალიზება.

ქარჩოხის ხეობის სოფლებისა თუ დღეს უკვე ნასოფლარების შესახებ საინტერესო მასალაა მოძიებული ქართველ თუ უცხოელ მოგზაურთა ცნობებიდან, მათ შორის აღსანიშნავია ცნობილი ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილისა და გერმანელი მოგზაურის იოჰან (ანტონ) გიულდენშტედტის სხვადასხვა ხასიათის ჩანაწერები. ისინი უშუალოდ ეწვივნენ ქსნის ხეობას და მის სათავეებს.

ქარჩოხის ხეობის ნასოფლარების ლოკალიზებაში და იქ არსებული დემოგრაფიული ვითარების განსაზღვრაში დიდ დახმარებას გვიწევს XVIII- XIX საუკუნეების მოსახლეობის აღწერები, რომლებიც ნაშრომში, საკითხთან მიმართებაში, ვრცლადაა გაანალიზებული.

ქარჩოხის ხეობის სამ სოფელში (ძაბოეთი, ლომისა, ოხირი), სადაც უძველესი დროიდან მკვიდრობდა ქართული მოსახლეობა, XVIII საუკუნიდან ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული ოსები დამკვიდრდნენ, რომელთა მიგრაციაც ქართლის ბარის სოფლებში და ისტორიულ სამშობლოში XX საუკუნის მეორე ნახევარში დასრულდა.

ქსნის ხეობაში ხშირად ხდებოდა სოფლების სახელწოდებების შეცვლა, რაც, ძირითადად, გამოწვეული იყო იქ დამკვიდრებული დომინანტი გვარიდან გამომდინარე, მაგალითად, ძველ ნასოფლარ ანდრიაწმინდულის ტერიტორიას მოგვიანებით შატაკიანთკარი ეწოდა, ახალდაბას - ბალაანი, ვაკეს - კარელთკარი და ა.შ.

2008 წლის აგვისტოს ომამდე ქარჩოხის ხეობის სოფლების უმრავლესობაში ჯერ კიდევ ცხოვრობდა მოსახლეობა, აგვისტოს ომის შემდეგ კი სოფლების უმეტესი ნაწილი ნასოფლარად იქცა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ახლოური, დ. (2006). *ახალგორის ისტორია,* თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი".

ახლოური, დ. (2007). *იოჰან (ანტონ) გიულდენშტედტი ქსნის ხეობაში,* თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი".

ახლოური, დ. (2019). *სოფელ ბალაანის მოსახლეობა 2008 წლის აგვისტოს ომამდე და აგვისტოს ომის შემდეგ,* ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტომი I (VIII), თბილისი.

ახლოური, დ. (2021 ა). *ქსნის ხეობის ისტორია,* ტ., II, თბილისი, გამომცემლობა „საარი".

ახლოური, დ. (2021 ბ). *ქარჩოხის ხეობის მოსახლეობა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში,* სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარებული დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი მეშვიდე საერთაშორისო კონფერენციისადმი მიძღვნილი შრომათა კრებული, №20, გორი.

ახლოური, დ. (2021 გ). *ქსნის ხეობის ოკუპირებული სოფლების ისტორიიდან (სოფელი შატაკიანთკარი - ისტორია და თანამედროვეობა),* სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია, 25 ივნისი, გორი.

ახლოური, დ. (2022 ა). *ქსნის ხეობის ისტორია,* ტ., III, თბილისი, გამომცემლობა „საარი".

ახლოური, დ. (2022 ბ). *ქსნის ხეობის სოფელ ოხირის ისტორიიდან,* სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია, 30 ივნისი, გორი.

ახლოური, დ. (2022 გ). *სოფელი თინიკაანი XVIII საუკუნის II ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში,* სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შრომათა კრებული (მეცამეტე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე ისტორიის სექციაში წარმოდგენილი ნაშრომები), №21, გორი.

ბაგრატიონი, იოანე. (1986). *ქართლ-კახეთის აღწერა,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება".

ბალაანი (ქე). (1997). ენციკლოპედია „საქართველო“. თბილისი.

ბატონიშვილი, ვახუშტი. (1973). *აღწერა სამეფოსა საქართველოსა,* ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.

გაგოშიძე, ი. (1964). *ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან,* თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“.

გვასალია, ჯ. (1983). *ლომისა,* ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე), ტ. 6, თბილისი.

გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. (1962). გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა, ტ., I, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. (1964). გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა, ტ., II. თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ). (1956). *ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წ.,* №7486.

ზაქარაია, პ. (1981). *ლენინგორის რაიონი (ისტორიულ-არქიტექტურული მიმოხილვა),* თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

თაყაიშვილი, ე. (1951). *ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა (ქსსა),* სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 45, თბილისი.

თინიკაანი (ქსე). (1979). ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4. თბილისი.

თოფჩიშვილი, რ. (1997). *საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები,* თბილისი, გამომცემლობა „ლომისი".

თოფჩიშვილი, რ. (2005). *ეთნოისტორიული ეტიუდები,* წიგნი I. თბილისი.

კაკაბაძე, ს. (1929). *საისტორიო კრებული,* წიგნი IV, ტფილისი.

მაკალათია, ს. (1968). *ქსნის ხეობა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი,* თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო".

ნაზღაიძე, ა. (2013). *შატაკიშვილები (საგვარეულო ისტორია),* თბილისი.

ოთინაშვილი, ნ. (2012). *ტოპონიმიკური შენიშვნები ქსნის ხეობიდან,* გორის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, №3, გორი.

ოთინაშვილი, ნ. (2013). *საშემოსავლო ნუსხები და ტოპონიმიკური შენიშვნები ქსნის ხეობიდან,* გორის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, №5, გორი.

პავლიაშვილი, ა. (1976). *ქსნის ხეობელთა ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ,* გაზეთი „ლენინელი“, №128 (3316), 23 ოქტომბერი, ახალგორი.

საქართველოს მოსახლეობის... (2003). *2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები (საქართველოს სოფლების მოსახლეობა),* ტ. II, თბილისი.

საქართველოს სიძველენი. (1910). ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტ., III, ტფილისი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა.

სურგულაძე, ივ. (1963). *ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან,* თბილისი, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნა".

ქართული სამართლის ძეგლები (ქსძ). (1965). *საერთო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტ., II,* ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბილისი.

ქართული სამართლის ძეგლები (ქსძ). (1970). *საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტ., III,* ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი.

ქენქაძე, ვ. (2008). *ქსნური ზეპირსიტყვიერების ქარაგოზი,* თბილისი.

ქენქაძე, ვ. (2010). *ქსნური ხალხური ფაბლიო,* თბილისი.

ქენქაძე, ვ. (2014). *ქსნის ერისთავიანთ ქალები, XIV-XIX საუკუნეები,* წიგნი I, თბილისი.

ღუნაშვილი, ვ. (1997). *ნარკვევები ქსნის ხეობის წარსულიდან, I,* პუბლიკაციები, თბილისი.

შიდა ქართლი. (2008). *ახალგორის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული მემკვიდრეობა, ტ. IV,* ცირა დადიანიძის რედაქციით, თბილისი.

ხოზუეთი (ქსე). (1987). ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11, თბილისი.

ჯავახიშვილი, ივ. (1967). *საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი 1, დემოგრაფიული ძეგლები, აღმოსავლეთ საქართველოს XVIII საუკუნის ხალხის აღწერის დავთრები,* თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება".

ჯავახიშვილი, ივ. (1974). *საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.), წიგნი II,* თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება".

ჯავახიშვილი, ივ. (1983). *თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II,* საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი.

ჯალაბაძე, გ. (1975). *ქსნის ხეობის მოსახლეობა,* წიგნში „ქსნის ხეობა", თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება".

Акты. (1868). *собранные Кавказской археографической комиссией: Том II.* Тифлис.

https://ka.wikipedia.org › wiki › *ქსანი.* (2022).

REFERENCES

akhlouri, d. (2006). *akhalgoris istoria [History of Akhalgori],* Tbilisi: "Universal".

akhlouri, d. (2007). *iohan (anton) guldenstedti ksnis kheobashi [Johan (Anton) Guldenstedt in the Ksani Valley].* Tbilisi: “Universali”.

akhlouri, d. (2019). *sofel balaanis mosakhleoba 2008 wlis agvistos omamde da agvistos omis shemdeg [The population of Balaani village before the August war and after the August war of 2008],* istoriisa da etnologiis samecnieri-kvleviti institutis shromebi, tomi I (VIII) [Proceedings of the Scientific-Research Institute of History and Ethnology, Volume I (viii)], Tbilisi.

akhlouri, d. (2021 a). *ksnis kheobis istoria [History of the Ksani Valley].* II, Tbilisi: ,,Saari".

akhlouri, d. (2021 b). *karchokhis kheobis mosakhleoba meckhramete saukunis dasawkisshi [The population of Karchokhi valley at the beginning of the nineteenth century],* ssip goris sakhelmwifo saswavlo universitetshi chatarebuli davit agmasheneblisadmi midzgvnili saertashoriso konferenciisadmi midzgvnili shromata krebuli [A collection of works dedicated to the seventh international conference dedicated to Davit Aghmashenebeli held at the LEPL Gori State Teaching University], №20, Gori.

akhlouri, d. (2021 g). *Ksnis kheobis okupirebuli soflebis istoriidan (sofeli shatakiantkari - istoria da tanamedroveoba) [From the History of Occupied Villages (Shatakiantkari Village - History and Modernity)],* ssip goris sakhelmwifo saswavlo universitetis profesor-maswavlebelta samecniero konferencia, 25 ivnisi [Scientific Conference of Professors and teachers at LEPL Gori State Teaching University, June 25], Gori.

akhlouri, d. (2022 a). *ksnis kheobis istoria [History of the Ksani Valley].* III. Tbilisi: “Saari”.

akhlouri, d. (2022 b). *Ksnis kheobis sofel oxiris istoriidan [From the history of the village of Okhiri in the Ksani Gorge],* ssip-goris sakhelmwifo saswavlo universitetis profesor-maswavlebelta samecniero konferencia, 30 ivnisi [Scientific Conference of Professors and teachers at LEPL Gori State Teaching University, June 30], Gori.

akhlouri, d. (2022 g). *sofeli tinikaani XVIII saukunis II naxevarsa da XIX saukunis dasawkisshi [The village of Tinikaani in the 2nd half of the 18 th century and the beginning of the 19 th century],* ssip goris sakhelmwifo saswavlo universitetis shromata krebuli (mecamete saertashoriso samecniero istoriis seqciashi warmodgenili nashromebi) [Collection of the works of the LEPL Gori State Teaching University (papers presented in the history section of the Thirteenth International Scientific Conference)]. №21, Gori.

bagrationi, ioane.(1986). *Kartl-kaxetis agwera [The description of Kartl-Kakheti],* teksti gamosacemad moamzades, gamokvleva da sadzieblebi daurtes tina enukidzem da guram bedoshvilma [The text was prepared for publication, research and references were added by Tina Enukidze and Guram Bedoshvili]. Tbilisi: "Metsniereba".

Balaani (ke). (1997). Entsiklopedia (sakartvelo) [Encyclopedia "Georgia"]. Tbilisi.

bat'onishvili vakhusht'i. (1973). *aghtsera sameposa sakartvelosa [Description of the Kingdom of Georgia].* kartlis tskhovreba [Georgian chronicles]. IV. teksti dadgenili kvela dziritadi khelnaweris mixedvit s. kaukhchishvilis mier [The text is established according to all major manuscripts by S. Kaukhchishvili]. Tbilisi: Metsniereba.

Gagoshidze, i. (1964). *Adreantikuri khanis dzeglebi ksnis kheobidan [Monuments of the Early Antique Age from the Ksani Valley],* Tbilisi: "Metsniereba".

Gvasalia, j. (1983). *lomisa,* kartuli sabchota entsiklopedia, t. 6 [Lomisa, Georgian Soviet Encyclopedia, vol. 6]. Tbilisi.

guldenstedtis mogzauroba sakartveloshi [Guldenstedt's trip to Georgia]. (1962). germanuli teksti kartuli targmaniturt gamosca da gamokvleva daurto gia gelashvilma [The German text was published with a Georgian translation and research was added by Gia Gelashvili]. I. Tbilisi.

guldenstedtis mogzauroba sakartveloshi [Guldenstedt's trip to Georgia]. (1964). germanuli teksti kartuli targmaniturt gamosca da gamokvleva daurto gia gelashvilma [The German text was published with a Georgian translation and research was added by Gia Gelashvili]. II. Tbilisi.

goris istoriul-etnograpiuli muzeumi (gsiem) [Gori Historical-Ethnographical Museum]. (1956). *Kofili ksnis saeristavos mosakhleobis agwera 1804 w. [Population census of former Ksani Saeristavo in 1804]. №7486.*

zakaraya p. (1981). *leningoris raioni (istoriul-arkiteqturuli mimokhilva) [Leningori region (historical-architectural review)].* Tbilisi: „Sabchota Sakartvelo".

takaishvili, e. (1951). *ksnis saeristavos statistikuri agweriloba (kssa) [Statistical description of Ksani Saeristavo (SDKS)],* stalinis sakhelohis tbilisis sakhelmwifo universitetis shromebi [Proceedings of Tbilisi State University named after Stalin], 45, Tbilisi.

tinikaani (kse). (1979). kartuli sabchota entsiklopedia [Georgian Soviet Encyclopedia]. 4. Tbilisi.

topchishvili, r. (1997). *sakartveloshi osta chamosaxlebis da shida kartlis etnoistoriis sakitxebi [Issues of the settlement of Osetians in Georgia and ethno history of Shida Kartli],* Tbilisi: „lomisi".

topchishvili, r. (2005). *etnoistoriuli etiudebi [Ethnohistorical studies], I.* Tbilisi.

kakabadze, s. (1929). *saistorio krebuli [Historical collection],* IV, Tbilisi.

nazgaidze, a. (2013). *shatakishvilebi (sagvareulo istoria) [Shatakishvilis (family history)],* Tbilisi.

makalatia, s. (1968). *ksnis kheoba, istoriul-etnografiuli narkvevi [Ksani Valley, historical-ethnographic essay].* Tbilisi.

otinashvili, n. (2012). *topinimikuri shenishvnebi ksnis kheobidan [Toponymic notes from the Ksani valley],* goris saswavlo universotetis sametsniero shromebis krebuli [collection of scientific works of Gori Teaching University], №3, Gori.

otinashvili, n. (2013). *sashemosavlo nuskhebi da topinimikuri shenishvnebi [Revenue lists and toponymic notes from the Ksani valley],* goris saswasvlo universitetis samecniero shromebis krebuli [collection of scientific works of the Gori Educational University], №5, Gori.

pavliashvili, a.(1976). *ksnis kheobelta brdzola uckhoeli dampkroblebis winaagmdeg [The struggle of the people of the Ksani valley against foreign invaders],* gazeti ,,lenineli" ["Lenineli" newspaper], №128 (3316), October 23, Akhalgori.

sakartvelos mosakhleobis... [The population of Georgia...] (2003). *2002 wlis pirveli erovnuli sakoveltao agweris dziritadi shedegebi (sakartvelos soflebis mosakhleoba) [The main results of the first national general census of 2002 (Population of the villages of Georgia)], II,* Tbilisi.

sakartvelos sidzveleni [Antiquity of Georgia]. (1910). e. takaishvilis redakciit [Edited by Takaishvili], II, Tbilisi, Georgian Historical and Ethnographic Society.

surguladze, iv. (1963). *narkvevebi sakartvelos sakhelmwiposa da samartlis istoriidan [Esseys from the history of the state and law of Georgia].* Tbilisi: „Tsodna".

kartuli samartlis dzeglebi [Monuments of Georgian Law]. (1965). *saerto sakanonmdeblo dzeglebi [General legislative monuments] (X-XIX), II,* tekstebi gamosca, shenishvnebi da sadzieblebi daurto prof. i. dolidzem [Prof. I. Dolidze added notes and search results to the texts]. Tbilisi.

kartuli samartlis dzeglebi [Monuments of Georgian law]. (1970). *Saeklesio sakanonmdeblo dzeglebi [Ecclesiastical legislative monuments] (XI-XIX), III,* tekstebi gamosca, shenishvnebi da sadzieblebi daurto prof. i.dolidzem [Prof. I. Dolidze added notes and published texts]. Tbilisi.

kenkadze, v. (2008). *ksnuri zepirsitkvierebis karagozi [Karagozi of Ksani verbal folklore].* Tbilisi.

kenkadze, v. (2010). *ksnuri khalkhuri fablio [Ksani folk fabliau],* Tbilisi.

kenkadze, v. (2014). *ksnis eristaviant kalebi [Women of Ksani nobility] (XIV-XIX), I.* Tbilisi.

gunashvili, v. (1997). *narkvevebi ksnis kheobis warsulidan [Essays from the past of the Ksani valley], I,* publikaciebi [publications]. Tbilisi.

shida kartli. (2008). *akhalgoris municipalitetis arqiteqturuli memkvidreoba [Architectural heritage of Akhalgori municipality], IV,* cira dadianidzis redakciit [edited by Tsira Dadianidze]. Tbilisi.

khozueti (kse). (1987). kartuli sabchota entsiklopedia [Georgian Soviet Encyclopedia]. 11. Tbilisi.

javakhishvili, Iv. (1967). *sakartvelos ekonomiuri istoriis dzeglebi [Monuments of economic history of Georgia], 1, demograpiuli dzeglebi [Demographic monuments] XVIII.* Tbilisi: Metsniereba

javakhishvili, Iv. (1974). *sakartvelos ekonomiuri istoriis dzeglebi [Monuments of economic history of Georgia], (XIII-XIX), II.* Tbilisi: Metsniereba.

javakhishvili, Iv. (1983). *tkhzulebani tormet tomad [Works in twelve volumes], II,* Academy of Sciences of the USSR of Georgia, Tbilisi.

jalabadze g. (1975). *ksnis kheobis mosakhleoba [The population of Ksani valley],* wignshi „ksnis kheoba“ [In the book Ksani gorge]. Tbilisi: Metsniereba.

акты. (1868). *собранные Кавказской археографической комиссией: Том II.[collected by the Caucasian Archaeographic Commission. Vol.II]* Тифлис. Tbilisi

https://ka.wikipedia.org › wiki › *ksani.* (2022).